



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 6 21 0000497927



28/05/2021

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის

საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-7¹ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1. 2020 წლის 25 და 30 ნოემბერს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) №35/4847, №35/4893 წერილებით (ცენტრში რეგისტრაციის - №1122082, №1122290, №1137506) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 10 დეკემბრის №1189439 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის №107029 (ცვლილება: №139568) ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 4 და 5 მარტს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 16 აპრილს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	√			

პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 13 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, მე-2 სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ახალი მასალები

ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს კრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის გზით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 28 მაისის N497787 სხდომის ოქმის №-02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

4.1 რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიწეროს სილაბუსებში საშინაო დავალებათა რუბრიკები სილაბუსებში: „მყარი ტანის ფიზიკა I, II“, „კვანტური მოწყობილობების ფიზიკა I“

4.2 რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებში დაცული იქნას ციტირებული ლიტერატურის დამოწმების სავალდებულო სტილი

4.3 რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ მითითებული ლიტერატურა: S.M. 35Sze and K. K. Ng, Physics of Semiconductor Devices, third edition (Wiley, New York, 2007) განთავსდეს ბიბლიოთეკაში ან სილაბუსში მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა

4.4 პროგრამის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტს(დელტა) შორის ურთიერთობის ფორმა „მემორანდუმი“ შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით - „ხელშეკრულებით“.

4.5 გასწორდეს პროგრამის ბიუჯეტში არსებული ხარვეზები

რჩევები

ა) სასურველია შრომის ბაზრის კვლევის სისტემატიზაცია და გაფართოება

ბ) გასწორდეს პროგრამის კომპეტენციების რუკაზე „სასწავლო კურსის -„მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული

გ) სილაბუსებში „ფოტონიკა“ , „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“, „არაწრფივი დინამიკა და ქაოსი“, „დაბალგანზომილებიანი სისტემების ფიზიკა“, „ნანოსტრუქტურების ტექნოლოგია I, II, III“, „ელექტრონული ინჟინერია: ანალოგური და ციფრული სქემები“, „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან“

დ) სილაბუსში „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“ სხვა კომპონენტებთან ერთად შეფასდეს სტუდენტის სემინარული მუშაობა;

ე) გააქტიურდეს მუშაობა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით;

ვ) გააქტიურდეს სტუდენტებთან მუშაობა აკადემიური წერის პრინციპების უზრუნველსაყოფად;

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 27 მაისს.


6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში 4 წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 25 თებერვლის N372 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათმცოდნეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 28 მაისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადა	1 წელი (2022 წლის 28 მაისამდე)
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 28 მაისი